ფრიდრიხ ნიცშე

FRIEDRICH NIETZSCHE

ტრაგედიის დაბადება
მუსიკის სულიდან

Die Geburt der Tragödie
aus dem Geiste der Musik

გამომცემლობა აქტი
თბილისი – 2022

წიგნი თემატურად ეძღვნება ძველი ბერძნული ტრაგედიის პრობლემატიკის განხილვას. ეს არის არა მხოლოდ კლასიკური ფილოლოგიის ახალგაზრდა პროფესორის ნაშრომი, არამედ ფართო ფილოსოფიური, კულტურული და ესთეტიკური კვლევა, რომელიც მოიაზრებს არა მხოლოდ ძველბერძნულ, არამედ თანამედროვე ევროპული საზოგადოების მსოფლმხედველობით პარადიგმებსაც. ამასთან, ავტორი წიგნში განიხილავს ბერძნულიდან ევროპული მსოფლმხედველობის მემკვიდრეობითობას და ამ მსოფლმხედველობის შეცვლის გზებს.

ავტორი: ფრიდრიხ ნიცშე
მთარგმნელი: ვახტანგ გორგიშელი
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

მეორე გამოცემა, 2022

გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© iBooks
© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-4383-9

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა 5

თვითკრიტიკის მცდელობა 11
წინასიტყვაობა რიხარდ ვაგნერისათვის 25
ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან 27

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები 187–189

მთარგმნელის წინასიტყვაობა

ფრიდრიხ ნიცშეს პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც 1872 წელს გამოქვეყნდა, იყო „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“. ეს ნაშრომი თემატურად ეძღვნებოდა ძველი ბერძნული ტრაგედიის გენეზისის პრობლემის განხილვას. მაგრამ ეს არის არა მხოლოდ კლასიკური ფილოლოგიის ახალგაზრდა პროფესორის ნაშრომი, არამედ ფართო ფილოსოფიური, კულტურული და ესთეტიკური კვლევა, რომელიც მოიაზრებს არა მხოლოდ ძველბერძნულ, არამედ თანამედროვე ევროპული საზოგადოების მსოფლმხედველობით პარადიგმებსაც. ამასთან, ნიცშე განიხილავს ბერძნულიდან ევროპული მსოფლმხედველობის მემკვიდრეობითობას და ამ მსოფლმხედველობის შეცვლის გზებს..

სხვადასხვა სახის მსოფლმხედველობაზე საუბრისას, მოაზროვნე იყენებს ძველი ბერძნული კულტურის, უპირველეს ყოვლისა, აპოლონისა და დიონისეს, შემდეგ კი სოკრატეს ცხად ხატებს, ასახავს რა მათში ადამიანის ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპებს. „რათა ორივე ეს სწრაფვა გავიცნობიეროთ, თავდაპირველად წარმოვიდგინოთ ისინი, როგორც სიზმრისა

და თრობის მხატვრული სამყაროები, რომელთა – ამ ორ ფიზიოლოგიურ მოვლენას – შორის შეინიშნება წინააღმდეგობა, რაც აპოლონური და დიონისური საწყისების წინააღმდეგობას შეესაბამება“[1] – წერს ნიცშე ადამიანის არსებობის ორ საპირისპირო პრინციპზე – აპოლონურზე და დიონისურზე – რომლებიც, მიუხედავად ამისა, დიალექტიკურად იკვეთება, ქმნის რა არქაული ბერძნებისათვის დამახასიათებელ ტრაგიკულ მსოფლმხედველობას. მაგრამ მესამე ტიპის მსოფლმხედველობა, სოკრატესეული, სრულიად განსხვავებულად მოქმედებს. ის ქადაგებს რაციონალიზმსა და ოპტიმიზმს, უარყოფს ბერძნებისთვის ბუნებრივ პრინციპებს, აშორებს ტრაგიკულ პარადიგმას. სოკრატესეული სულისკვეთების გამოჩენას ნიცშე უკავშირებს ბერძნულ კულტურაში კლასიკური პერიოდის დასაწყისს და თვლის, რომ სწორედ ამ სულისკვეთებამ განაპირობა ელადის დაკნინება. იგივე სულისკვეთება აგრძელებს ბატონობას ევროპულ სივრცეში დღემდე, რის გამოც ევროპელთა ცხოვრება არაბუნებრივი, რაციონალურად ოპტიმისტური და, ფაქტობრივად, უსიცოცხლოა. სწორედ მის წინააღმდეგ ილაშქრებს მოაზროვნე თავის ნაწარმოებში და ამბობს: „ჩვენთვის, ვინც არსებობის ორი განსხვავებული ფორმის ზღვარზე დგას, ელინური პირველნიმუში იმ განუზომელ ფასეულობას ინარჩუნებს, რომ მასში კლასიკური და დიდაქტიკური ფორმითაა ამოჭედილი ყველა ხსენებული ბრძოლა და გარდაქცევა. თითქოს ჩვენ ელინური სულის ცხოვრების უმთავრეს ეპოქებს ხელახლა განვიცდით შექცეული მიმართულებით და თითქოს ახლა ალექსანდრიული პერიოდიდან უკან, ტრაგედიის ეპოქისკენ ვბრუნდებით. ამასთან, ჩვენში ჯერ კიდევ ცოცხალია გრძნობა, რომ ტრაგიკული საუკუნის დაბადება გერმანული სულისთვის მხოლოდ საკუთარ თავთან დაბრუნებას ნიშნავს, საკუთარი თავის ნეტარ შეძენას, მას შემდეგ, რაც დიდი ხნის შემდეგ და-

1. წინამდებარე გამოცემა, გვ. 30.

თვითკრიტიკის მცდელობა

1.

რაც არ უნდა დასდებოდა ამ საეჭვო წიგნს საფუძვლად, ეს უნდა ყოფილიყო პირველი რანგისა და ინტერესის საკითხი, ამასთანავე, ღრმად პირადული ხასიათისა; ამის თავდებია დრო, როდესაც ის შეიქმნა და რომლის მიუხედავადაც შეიქმნა – გერმანია-საფრანგეთის 1870-71 წლების ომის შფოთიანი პერიოდი. იმ დროს, როდესაც ვიორტთან შეტაკების გრიალი აზანზარებდა ევროპას, მეოცნებე-მოაზროვნე და ამოცანათა მოყვარული, რომელსაც წილად ხვდა ამ წიგნის შემოქმედი გამხდარიყო, სადღაც ალპების კიდეზე იჯდა, თავის ოცნება-ფიქრებსა და ამოცანებში ჩაძირული, შესაბამისად კი მეტისმეტად შეფიქრიანებული, იმავდროულად კი უდარდელი, და ბერძნების შესახებ თავის აზრებს იწერდა, რაც იმ უცნაური და ნაკლებად ხელმისაწვდომი წიგნის მარცვალს წარმოადგენდა, რომელსაც ეს დაგვიანებული წინასიტყვაობა (თუ ბოლოსიტყვაობა) ეძღვნება. გავიდა კიდევ რამდენიმე კვირა, რაც თავად ის უკვე მეცის კედლებთან იყო, ჯერ კიდევ შებოჭილი იმ კითხვის ნიშნებით, რომლებიც დაუსვა ბერძნებისა და ბერძნული ხელოვნების მოჩვენებით „გულმხიარულობას“, სანამ იმ ღრმად დაძაბულ თვეს, როდესაც ვერსალში სამშვიდობო მო-

ლაპარაკებები მიმდინარეობდა, იგი თავად არ დაუზავდა საკუთარ თავს და ბრძოლის ველზე მიღებული ჭრილობის შემდეგ გამოჯანმრთელების გზაზე მდგარმა საბოლოოდ არ დაადგინა საკუთარი თავისთვის: „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“. მუსიკის? მუსიკა და ტრაგედია? ბერძნები და ტრაგიკული მუსიკა? ბერძნები და პესიმიზმის მხატვრული ქმნადობა? ყველაზე წარმატებული, ყველაზე მშვენიერი, ყველაზე შესაშური, სიცოცხლისადმი ყველაზე მეტად განწყობილი ხალხი, ვისაც კი დღემდე უცხოვრია, ბერძნები, – როგორ? ნუთუ მათ სჭირდებოდათ ტრაგედია? უფრო მეტიც – ხელოვნებაში? რას ემსახურებოდა ბერძნული ხელოვნება?

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომელ ადგილას იქნა დასმული კითხვის დიდი ნიშანი არსებობის ღირებულების შესახებ. არის პესიმიზმი დაცემის, დაღმასვლის, ცხოვრებისეული წარუმატებლობის, გათანგული და დაუძლურებული ინსტინქტების უპირობო ნიშანი, როგორც ეს იყო ინდოეთში და როგორიც ის, სავარაუდოდ, არის ჩვენში, „თანამედროვე“ ადამიანებსა და ევროპელებში? ძლიერის პესიმიზმიც არსებობს? ინტელექტუალური წინასწარგანწყობა სასტიკის, საზარლის, ბოროტისა და ამოუცნობისადმი არსებობაში, გამოწვეული კეთილდღეობით, ჯანმრთელობითა და არსებობის სისავსით? ხომ არ არსებობს ტანჯვა მეტისმეტი სისავსისგან? ბასრი მზერის გამომცდელი გაბედულება, რომელიც საშინელებას მოითხოვს, როგორც მტერს, ღირსეულ მტერს, რომელზეც საკუთარი ძალის გამოცდას შეძლებს? რომელზეც სურს ისწავლოს, რა არის „შიში“? რა მნიშვნელობა ენიჭება საუკეთესო, ძალმოსილი და უმამაცესი დროის ბერძნებთან ტრაგიკულ მითს? და დიონისური საწყისის შემზარავი ფენომენი? და ის, რაც მან შვა – ტრაგედია? შემდეგ კი ის, რამაც მოაკვდინა ტრაგედია, სოკრატესეული მორალი, დიალექტიკა, კმაყოფილება და სიხარული თეორიული ადამიანისა? ხომ არ იყო სოკრატესეული მორალი დაცემის, დაღლილობის, დაავადების, ანარქიულად ხრწნადი ინსტინქტების

წინასიტყვაობა რიხარდ ვაგნერისათვის

რათა საკუთარი თავი ყველა შესაძლო ეჭვს, მღელვარებასა და გაუგებრობას განვარიდო, რისკენაც ბიძგს, ჩვენი ესთეტიკური საზოგადოების თავისებურებათა გამო, ამ ნაწარმოებში მოცემული აზრები შეიძლება წარმოადგენდეს, და რათა საშუალება მქონდეს ეს შესავალი სიტყვაც იმავე მჭვრეტელობითი ნეტარებით დავწერო, რომლის ანაბეჭდი, როგორც ბედნიერი და ამაღლებული წუთების ნამარხი, ყოველ გვერდს ამჩნევია, ჩემი მზერის წინაშე იმ მეყს ვიხმობ, როდესაც თქვენ, ჩემო მაღალპატივცემულო მეგობარო, ამ წიგნს მიიღებთ: ვხედავ, თოვლიან ქუჩაში საღამოს სეირნობის შემდეგ როგორ ათვალიერებთ მიჯაჭვულ პრომეთეს, საწყის გვერდზე, ჩემს სახელს კითხულობთ და მყისვე იმსჭვალებით რწმენით, რომ როგორიც არ უნდა იყოს ამ ნაწარმოების შინაარსი, მის ავტორს უდავოდ რაღაც სერიოზულისა და შთამბეჭდავის თქმა სურს, რომ იმის გააზრებისას, რაც აქ არის მოცემული, ის თქვენ გხედავდათ და თქვენ მოგმართავდათ, აქედან გამომდინარე კი, შეეძლო დაეწერა მხოლოდ ისეთი რამ, რაც თქვენს იქ-ყოფნას შეესაბამებოდა. ამასთანავე თქვენ გაიხსენებთ, რომ იმავე დროს, რო-

დესაც თქვენი გასაოცარი საიუბილეო ნაწარმოები იქმნებოდა ბეთჰოვენის შესახებ, ანუ მცირე ხნის წინ გაჩაღებული ომის საშინელებასა და სიდიადეში მიმდინარეობდა მზადება ამ აზრებისთვის. მაგრამ ცთომილებაში აღმოჩნდებოდნენ ისინი, ვინც ამ თანხვედრაში პატრიოტულ გზნებასა და ესთეტიკურ ავხორცობას, მედგარ სერიოზულობასა და მხიარულ თამაშს შორის წინააღმდეგობის არსებობას დაინახავდა; პირიქით, ამ წიგნის ნამდვილად წაკითხვის შემთხვევაში მათთვის გაოცებამდე ცხადი გახდება, რაოდენ მკაცრად გერმანულ პრობლემასთან გვაქვს საქმე, რომელიც ჩვენ წინაშე დასმულია სწორედ გერმანულ ოცნებათა შუაგულში, როგორც აპოგეა და შემობრუნების წერტილი. მაგრამ შესაძლოა სწორედ ამ ადამიანებს მოეჩვენოთ მიუღებლად ესთეტიკური პრობლემისადმი ესოდენ სერიოზული დამოკიდებულება, რადგან მათ არ შესწევთ უნარი, ხელოვნებაში იმაზე მეტი დაინახონ, ვიდრე სამხიარულო დანამატი, ან ეჟვნის ჟღარუნი, რომელიც „არსებობის სერიოზულობას“ ახლავს თან, მაგრამ არსებითად, ზედმეტობაა; თითქოს არავინ იცოდეს, რომ „არსებობის სერიოზულობისა“ და ხელოვნების დაპირისპირება უკვე წარმოადგენს უხეშ გაუგებრობას.

თავს ნებას მივცემ ამ სერიოზულთ განვუცხადო, რომ ჩემი შეხედულება ხელოვნებაზე, როგორც უზენაეს ამოცანასა და ამქვეყნად მეტაფიზიკურ მოღვაწეობაზე, თანხმობაშია იმ ადამიანის თვალსაზრისთან, ვისაც, როგორც ამ გზაზე შემდგარ მებრძოლს, ვუძღვნი წინამდებარე წიგნს.

ბაზელი, 1871 წლის დეკემბერი

ფრიდრიხ ნიცშე

ტრაგედიის დაბადება
მუსიკის სულიდან

1.

დიდი სარფა[1] იქნებოდა ესთეტიკური მეცნიერებისთვის თუკი არა მხოლოდ ლოგიკური განაზრების, არამედ უშუალო ინტუიციის გზითაც მივიდოდით ცნობიერებამდე, რომ ხელოვნების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია აპოლონური და დიონისური საწყისების ორობითობასთან, მსგავსად იმისა როგორც დაბადებაა დამოკიდებული სქესის ორგვარობაზე, მათ განუწყვეტელ ბრძოლასა და დროებით მორიგებებზე. ამ სახელწოდებებს ჩვენ ბერძნებისგან ვსესხულობთ, რომლებიც მას, ვისაც შეცნობა ძალუძს, ხელოვნების შესახებ შეხედულებათა სფეროში საკუთარ ღრმააზროვან ეზოთერულ მოძღვრებას განუმარტავს არა ცნებების, არამედ ღმერთების სამყაროს მკვეთრად გამოსახული ხატებით. ხელოვნების ამ ორ ღვთაებას, აპოლონსა და დიონისეს, უკავშირდება ჩვენი ცოდნა იმ ვეებერთელა დაპირისპირების შესახებ წარმოშობასა და მიზნებში, რასაც ბერძნულ სამყაროში ვხვდებით ხატთა პლასტიკურ ხელოვნებასა (აპოლონური) და მუსიკის არაპლასტიკურ ხელოვნებას (დიონისური) შორის. ეს ორი ესოდენ განსხვავე-

1. სარფა – გამორჩენა, მოგება.

ბული მისწრაფება ერთიმეორის გვერდით მოქმედებს, უფრო ხშირად ერთმანეთს შორის ღია განხეთქილებაში, და აქეზებს ერთმანეთს სულ უფრო ახალი და მძლავრი წარმონაშობისკენ, რათა მათში უკვდავყოს ხსენებულ წინააღმდეგობათა ბრძოლა, რომლებიც მხოლოდ მოჩვენებითადაა გაერთიანებული სიტყვით „ხელოვნება“, მანამ, სანამ ელინური „ნების“ ჯადოსნური მეტაფიზიკური აქტის მეშვეობით ამ გაორებაში არ წარმოშობს საბოლოოდ ხელოვნების იმდენადვე დიონისურ, რამდენადაც აპოლონურ ნაწარმოებს – ატიკურ ტრაგედიას.

რათა ორივე ეს სწრაფვა გავიცნობიეროთ, თავდაპირველად წარმოვიდგინოთ ისინი, როგორც სიზმრისა და თრობის მხატვრული სამყაროები, რომელთა – ამ ორ ფიზიოლოგიურ მოვლენას – შორის შეინიშნება წინააღმდეგობა, რაც აპოლონური და დიონისური საწყისების წინააღმდეგობას შეესაბამება. ლუკრეციუსის აზრით სიზმრებში პირველად ეწვიათ ადამიანთა სულებს ღმერთთა საკვირველი ხატები; სიზმარში დიადმა მოქანდაკემ იხილა ზეადამიანურ არსებათა მომაჯადოებელი ანატომია, ხოლო ელინი პოეტი, დაეკითხებოდნენ რა პოეტური შთასახვის საიდუმლოს, ასევე სიზმარს მოუხმობდა და გვიბოძებდა განმარტებას, რომელიც ჰანს საქსმა „მაისტერზინგერში“ მოგვცა:

მეგობარო ჩემო, პოეტს,
ახსნა ევალება სიზმრის,
ყველა ის კი, რას ვოცნებობთ,
ჩვენ სიზმარში გვიცხადდება,
ლექსთა, ოსტატურთა აზრი
სიზმრის განმარტებაშია.

ხილვათა მშვენიერი ილუზია, რომლის შექმნაში ყოველი ადამიანი სავსებით წარმოადგენს ხელოვანს, ყველა პლასტიკური ხელოვნების წინაპირობაა, და ასევე, როგორც ჩვენ ვიხილავთ, პოეზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე. ჩვენ

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

9. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
12. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი

13. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
14. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

15. ბერტრან რასელი – ესეები
16. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

17. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
18. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
19. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
20. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
23. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
25. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
26. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
27. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

28. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
39. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
30. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
31. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

32. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

33. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
34. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

35. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
36. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
37. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
38. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

39. ოშო – სიყვარულის ძალა
40. ოშო – რა არის მედიტაცია?
41. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

42. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
43. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

44. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
45. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

46. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
47. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

48. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
49. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან

50. გ. გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
51. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I-IV

52. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
53. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა

54. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
55. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

56. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
57. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
58. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

59. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
60. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
61. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

62. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
63. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
64. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე